პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 აგვისტო ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 183 (14179)

ხუთწლედის მესამე წლის მეშვიდე თვე დიდი გამარჯვებით აღნიშნეს ენგურჰესის მშენებლობის ძალოვანი კვანძის მე-10 სადერივაციო გვირაბის № 4 უბნის გვირაბგამყვანებმა. ერთ თვეში გაყვანილია 181 გრძივი მეტრი გვირაბი, რაც საკავშირო რეკორდია. დღემდე ეს რეკორდი ტაჯიკეთის სსრ ნურეკჰესის მშენებლებს ეკუთვნოდათ, რომელიც 124 გრძივ მეტრს უდრიდა.

დღეს ჩვენს მკითხველებს ვაცნობთ ახალ რეკორდსმენთა ერთ ჯგუფს. სურათზე: № 4 უბნის გვირაბმშენებლები (მარცხნიდან მარჯვნივ): გამყვანები მ. კეზუა, ნ. დოუბიში, ხ. მამუჩარაშვილი, უბნის უფროსი ზ. ვაჩაძე, გამყვანი ბ. ლემონჯარია და მძღოლი ვ. ჩაჩავა.

ფოტო გ. გერსამიასი და ი. ნანიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ქალაქ ტისის ჩიერნის მოლაპარაკებისა და სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბრატისლავის თათბირის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა ქალაქ ტისის ჩიერნის ამა წლის 29 ივლის — 1 აგვისტოს შეხვედრისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა ბრატისლავის ამა წლის 3 აგვისტოს თათბირის შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შეხვედრა დროული იყო და დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობას ბრატისლავის თათბირზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიაჩნია, რომ ბრატისლავის თათბირის განცხადება გამოხატავს მონაწილე მოძმე პარტიათა საერთო პოზიციას, რომელიც შეესაბამება სოციალისტური ქვეყნების ინტერესებს, მათი თანამშრომლობის განვითარებას პრინციპულ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე, ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას, განსაზღვრავს თვითეულ ქვეყანაში და მთელ სოციალისტურ თანამეგობრობაში სოციალიზმის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების გზებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მაღალ შეფასებას აძლევს თათბირის მონაწილეთა იმ დასკვნას, რომ სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცებასა და იმპერიალიზმის ხრიკების მოგერიებაში წარმატების საწინდარია მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ურყევი ერთგულება, ხალხის მასების აღზრდა სოციალიზმის იდეების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, შეურიგებელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მთელი ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ.

განცხადების დებულებათა განხორციელება მოძმე პარტიათა უპირველესი ინტერნაციონალური ამოცანაა. მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის მხრივ ყველაფერს იღონებს ამ მაღალი კეთილშობილური ამოცანის შესრულებისათვის, სოციალისტური თანამეგობრობის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის.

ძალა ერთობაშია

მოძმე ხალხების მეგობრობა და ერთიანობა შეესაბამება სოციალიზმის თვითეული ქვეყნისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის საარსებო ინტერესებს. ეს იდეა ღრმად დამკვიდრდა ახალი სამყაროს მშენებლთა გონებასა და გულში. მოძმე ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომლებიც გამოხატავენ მათს მბრძანელ მისწრაფებებს, თავიანთ უმნიშვნელოვანეს ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ განუწყვეტლივ განამტკიცებდნენ სოციალიზმის ძალების შეკავშირებისა და ძლიერებას, განუხრელად ახორციელებდნენ უკვდავ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. ამ ზრუნვის ახალი გამოვლინებაა ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც 3 აგვისტოს გაიმართა ბრატისლავაში.

მთელი მსოფლიო უდიდესი ინტერესით შეხვდა დოკუმენტს, რომელიც ერთსულოვნად მიიღო თათბირმა, — სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების განცხადებას. თათბირის შედეგებს აღიქვამენ როგორც ახალ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების გზაზე, როგორც სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის. ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმპერიალიზმის ძირგამომთხრელი საქმიანობისა და აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს.

ექვსი მოძმე პარტიის წარმომადგენელთა თათბირმა გამოხატა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა უფარფოლი მასების მისწრაფება კიდევ უფრო შეკავშირდნენ საერთო საქმისათვის. შეხვედრის მონაწილეთა განცხადებაში დასახულია ამ მიზნის მისაღწევი გზები. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული პოზიციები გამოხატავენ სოციალიზმის ქვეყნების მშრომელთა ძირეულ მისწრაფებებს, შეესაბამებიან საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინაშე მდგომ ამოცანებს.

სოციალიზმის მტრები ცდილობდნენ და ცდილობენ განხეთქილება შეიტანონ მოძმე ქვეყნებს შორის და ამით ძირი გამოუთხარონ სოციალისტური თანამეგობრობის უძლეველ ძალიერებას. ეს ხრიკები განსაკუთრებით გააქტიურდა ამ ბოლო დროს. ბურჟუაზიული პრესა სავსეა უაღრესად მტრული და ღვარძლიანი „წინასწარმეტყველებებით“, რომლებიც ცხადდოფენ, თუ რა სურთ ჩვენს მტრებს: იმპერიალისტებს სურთ, რომ სოციალისტური მშენებლობის, მოძმე ქვეყნების ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან საკითხთა გულახდილ განხილვას მოჰყვეს სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის ერთიანობის შესუსტება და მათი გათიშვაც კი. ეს იმედები ჩაიფუშა. ბრატისლავის თათბირის შედეგები გამანადგურებელ ლახვარს ცემენ იმპერიალისტთა ვერაგულ გეგმებს.

როგორც ცნობილია, მოძმე პარტიების თათბირი გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ორმხრივი შეხვედრის შემდეგ, რომელიც ტისის ჩიერნაში მოეწყო. ეს შეხვედრა, რომელიც მიმდინარეობდა სრული გულახდილობის, გულწრფელობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში, მიზნად ისახავდა გამონახულიყო გზები, რათა კიდევ უფრო განვითარდეს და განმტკიცდეს ჩვენი პარტიებისა და ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები.

ტისის ჩიერნაში გამართული საუბრების დროს ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაციებმა ურთიერთ თანხმობით წინადადება მისცეს ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და უნგრეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მოეწყოთ მრავალმხრივი ამხანაგური შეხვედრა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს.

ექვსი მოძმე პარტიის ცენტრალური კომიტეტები, რომლებმაც გადაწყვიტეს თათბირი გაემართათ ბრატისლავაში, ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ რთული საერთაშორისო ვითარება, იმპერიალიზმის ძირგამომთხრელი მოქმედება მოითხოვს გაძლიერებულ ღონისძიებებს სოციალისტური სისტემის ქვეყნების შემდგომი შეკავშირებისათვის.

შექმნილი ტრადიციების სულისკვეთებით, სრული გულახდილობის, პრინციპულობისა და მეგობრობის ვითარებაში ბრატისლავის თათბირზე განხილულ იქნა სოციალიზმისათვის ბრძოლის, სოციალისტური თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების შემდგომი განმტკიცების აქტუალური საკითხები.

მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია ის უდიდესი გამარჯვებები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა, სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა მოიპოვეს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ეს გამარჯვებები ჩვენი ხალხების გმირული შეცადინეობის, თავდადებული შრომის, კომუნისტური და მუშათა პარტიების დიდი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია. ისტორიულ მიღწევათა შედეგად განუზომლად გაიზარდა სოციალისტურ სახელმწიფოთა ავტორიტეტი და საერთაშორისო გავლენა, მათი როლი მსოფლიო პოლიტიკის ძირეულ საკითხთა განსაზღვრაში.

ბრატისლავის თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად გაუსვეს ხაზი, რომ თვითეული ქვეყნის სოციალისტურ მონაპოვართა მხარდაჭერა, განმტკიცება და დაცვა ყველა სოციალისტური სახელმწიფოს საერთო ინტერნაციონალური მოვალეობაა. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ხელმძღვანელობენ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო კანონზომიერებებით და უწინარეს ყოვლისა განამტკიცებენ მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელ როლს ბრძოლაში დიდებან წინ მარქსისა და ლენინის მიერ დასახული გზით. ამასთან თვითეული პარტია, შემოქმედებითად წყვეტს რა შემდგომი სოციალისტური განვითარების საკითხებს, ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებსა და პირობებს.

„სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცებასა და იმპერიალიზმის ხრიკების მოგერიებაში, — ნათქვამია მოძმე პარტიების განცხადებაში, — წარმატებათა საწინდარია ურყევი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, ხალხის მასების აღზრდა სოციალიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების სულისკვეთებით, შეურიგებელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მთელი ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ“.

სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიებმა კვლავ უჩვენეს მთელ მსოფლიოს თავიანთი ხოლიდარობა, რევოლუციური სიფხიზლე, მისწრაფებათა და მოქმედების ერთიანობა კომუნიზმის იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. მათ განაცხადეს, რომ კვლავაც გადაჭრით გამოვლენ მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელი როლის შესუსტების ყოველი ცდის წინააღმდეგ, არასოდეს არავის არ მიეცემენ ნებას განხეთქილება ჩამოაგდოს სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის, ძირი გამოუთხაროს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს.

მოძმე პარტიებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ განუწყვეტლივ ზრუნავდნენ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, ყველა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ყოველმხრივი პროგრესისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებით პარტიული და სახელმწიფო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დროს წამოიჭრება ბევრი რთული პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს მოძმე პარტიებისა და ხალხების ღონისძიებათა გაერთიანებას. ათეული წლების განმავლობაში შეძენილი გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ სოციალისტური მშენებლობის მრავალფეროვან ამოცანებს თანმიდროვე პირობებში მარტო ვერ გადაწყვეტენ ცალკეული ქვეყნები, ვერ-ლა დარგში მჭიდრო თანამშრომლობა ამრავლებს სოციალისტური ქვეყნების ძალებს, აფართოებს მათს შესაძლებლობებს, ხელს უწყობს წინსვლის ტემპების დაჩქარებას. ყოველივე ამის საფუძველზე ბრატისლავის თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიური თანამშრომლობის, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების დიდი მნიშვნელობა. თათბირის მონაწილეებმა კვლავ დაადასტურეს უმაღლესი დონის ეკონომიური თათბირის უახლოეს ხანში მოწვევის აქტუალობა.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას ახასიათებს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება მსოფლიო ასპარეზზე, იმპერიალიზმის აგრესიული საქმიანობის გაძლიერება. ამიტომ ბუნებრივია, რომ თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული უურადღება დაუთმეს საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებს, ამასთან დაადასტურეს, რომ მზად არიან შეთანხმებული და კოორდინირებული მოქმედებისათვის მსოფლიო ასპარეზზე.

თათბირზე მთელი ძალით დადასტურდა სოციალისტური ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც უყოველნაირად დაეხმარონ გმირ ვიეტნამს, რომელიც ამერიკის აგრესიას იგერიებს. კვლავ მაზგასმით აღინიშნა, რომ საჭირო ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაცია. შეხვედრის მონაწილეებმა, განაცხადეს, რომ მშვიდობის ინტერესები მოითხოვს ჯეროვანი პასუხი გაიცეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტულ და ნეოფაშისტურ ძალებს, ევროპის ხალხებს განხორციელდეს შეთანხმებული პოლიტიკა, აუცილებლად დაეჭიროს მხარი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ საკადრის პასუხს გასცემენ მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადახედვისა და ევროპის ახლანდელი საზღვრების დარღვევის ყოველგვარ ცდებს, რომ მათი მტკიცე მოთხოვნა იქნება თავდადგე ძალადაკარგულად ითვლებოდეს მიუნხენის სამარცხვინო დიქტატი. მშვიდობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის ნატოს აგრესიული იმპერიალისტური ბლოკი. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ როდენ დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელია გაძლიერდეს ბრძოლა ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ შემუშავებული კონსტრუქციული პროგრამის საფუძველზე.

ახლა, როცა სულ უფრო ძლიერდება იმპერიალიზმის ხრიკები სოციალისტური თანამეგობრობის შერყევის მიზნით, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ვარშავის ხელშეკრულების თავდაცვითს ორგანიზაციასა და მის საქმიანობას. ეს ხელშეკრულება სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარე ხალხთა ხიბლიდან ფარი, მთელი ევროპის უშიშროების, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო და არის. „თანამედროვე ვითარება, — ხაზგასმულია განცხადებაში, — ჩვენგან მოითხოვს შეუნელებელ მეცადინეობას თვითეული სოციალისტური სახელმწიფოს და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის თავდაცვისუნარიანობის გადიდებისათვის, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის“.

ჩვენს დროში განუხრელად იზრდება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირების მნიშვნელობა. თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ყველაფერი იღონონ კომუნისტთა, მსოფლიო არმიის ერთიანობის განმტკიცებისათვის. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში უახლოეს პერიოდში ცენტრალური რგოლი კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევა, ამ მიმართულებით უკვე დიდი მუშაობაა გაწეული. მოძმე პარტიებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ მუშაობას და რწმენა გამოთქვეს, რომ მომავალი თათბირი დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების კონსოლიდაციის საქმეში.

კომუნისტებისათვის, რომლებიც პრაქტიკულად ახორციელებენ კაცობრობის დიად იდეალებს, ნაცადი კომპასია მარად ცოცხალი, შემოქმედებითი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ამ მოძღვრებისადმი, მისი პროლეტარული, დრაშისადმი ერთგულება თვითეული რევოლუციური რაზმის ძალის წყაროა, სოციალიზმისა და მშვიდობის პოზიციების შემდგომი განმტკიცების საწინდარია. ერთიანი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კვლავაც იქნება სოციალიზმის ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების შემდგომი შეკავშირების, საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში მათი მოქმედების ერთიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი.

ბრატისლავის თათბირი დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაა. ერთსულოვნად შემუშავებული განცხადება შეესაბამება მთელი კომუნისტური, მუშათა, ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ინტერესებს. ამიტომ არის, რომ ამ დოკუმენტს ერთსულოვნად უმერენ მხარს ყველა მოძმე პარტია, ყველაზე ფართო პროგრესული წრეები, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები, რომლებსაც ბრატისლავის განცხადება ახალ წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნიათ სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების გზაზე.

ტისის ჩიერნისა და ბრატისლავის შეხვედრებმა კვლავ დაადასტურეს, რომ მსოფლიო სოციალიზმისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძირეული ინტერესებისათვის დიდი ზრუნვით განმსჭვალული ბრძნული და დინჯი, გაბრწყინებული და მოთმენებითი განხილვა რთული, საკითხებისა პრინციპულ საფუძველზე ნორმაა, რომელმაც გაამართლა თავისი დანიშნულება სოციალისტური ქვეყნების, მათი კომუნისტური და მუშათა პარტიების ურთიერთობაში. ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის ასეთ პოზიციას ადგა და ადგას, თავისი წვლილი შეაქვს რევოლუციური ძალების, ძმური სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებისა და ერთიანობის საქმეში.

ხაბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა მოძმე პარტიებს, რომლებმაც თავიანთი ხელმოწერით განამტკიცეს ბრატისლავის განცხადება, უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ ერთსულოვნად მიღებული დოკუმენტის ყველა დებულების შესრულება. ამ დებულებათა თანმიმდევრული, განუხრელი განხორციელება კიდევ უფრო შეადღლაბებს, განამტკიცებს სოციალიზმის პოზიციებს თვითეულ ქვეყანაში და მთელ სოციალისტურ თანამეგობრობაში, ახალ გამარჯვებებს მოუტანს სოციალიზმს, კომუნიზმის იდეებს.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა კომუნისტები და მთელი ჩვენი ხალხი მიესალმებიან ამ შეხვედრათა შედეგებს და გამოთქვამენ რწმენას, რომ მოძმე პარტიათა ხელმძღვანელებს მიერ კოლექტიურად შემუშავებულ გადაწყვეტილებათა თანმიმდევრული შესრულება ხელს შეუწყობს სოციალიზმის საერთაშორისო ავტორიტეტის და მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე მისი გავლენის ზრდას. თავის მხრივ ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც ყველაფერს იღონებს სოციალისტური თანამეგობრობის განუხრელი პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, მარქსისტულ-ლენინური იდეების გამარჯვებისათვის.

ხაბჭოთა კავშირის კომუნისტებს, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა კომუნისტს, ღრმად სწამთ, რომ ბრატისლავის თათბირის მონაწილე პარტიათა განცხადებაში ჩამოყალიბებული პოზიციები და შეხედულებანი შეესაბამებიან ყველა ჩვენი მოძმე ქვეყნისა და პარტიის ძირეულ ინტერესებს, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებს.

ერეკვითი ნოგბათები

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მალალაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. კორკოტაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. მაისაშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა პირობა გაანაღდეს, ბუნებრივი და ნათესი ბალახების აღების წლიური გეგმა 115,5 პროცენტით გაანაღდეს.

ბუნებრივი და ნათესი ბალახების მოსავლის აღება გრძელდება.

კასპის რაიონის მშრომელებმა წელს წლიური გეგმით უნდა დაამზადონ 1.120 ტონა კურკოვანი ხილი. როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 29 ივლისის ცნობიდან ჩანს, კასპელებმა პირობა უკვე გაანაღდეს. სახელმწიფოს მიეყიდა 1.157 ტონა ხილი, რაც წლიური გეგმის 103,3 პროცენტს შეადგენს.

ზესტაფონის რაიონის მეხილეთა პირობაა წელს დაამზადონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 508 ტონა კურკოვანი ხილი. ბეჭითი შრომით პირობა უკვე შეასრულეს, სახელმწიფოს მიეყიდა 595 ტონა ხილი.

თერჯოლის რაიონმა უკვე შეასრულა კურკოვანი ხილის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მისცეს 730 ტონა ხილი, რაც წლიური დავალების 103,9 პროცენტს შეადგენს.

ხაჩხერის რაიონმა სიტყვა საქმედ აქცია. სახელმწიფოს მიჰყიდა 706 ტონა კურკოვანი ხილი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 630 ტონისა.

ცხინვალის რაიონის მშრომელთა პირობა იყო წელს სახელმწიფოსათვის მიეყიდა 800 ტონა კურკოვანი ხილი. ნაყოფიერი მუშაობით სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მიყიდვის წლიური გეგმა 102 პროცენტით გაანაღდეს.

გეგმის ზევით

ქუთაისი. (საკ. კორ.). სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის შვიდი თვის დავალება. 1. მილიონ 567 ათასი მანეთის ნაცვლად, რაც შვიდი თვის გეგმით იყო გათვალისწინებული, აქ ჯერ კიდევ 20 ივლისისათვის 1 მილიონ 620 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია მოახდინეს.

გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 14 ცალი ტრაქტორი „რიონი-2“ და 8 ცალი „ტ-16-მრ“ მარკის მოდერნიზებული ტრაქტორი. განვლილ პერიოდში ქარხანამ 80 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

წარმატებით შრომობენ № 1 და № 2 ამწყობ-მექანიკური სამამქროების, აგრეთვე თერმული უბნის კოლექტივები, რომლებსაც გ. ახალაძე, ვ. ჯორჯანაძე და ს. ვალიევი თავკაცობენ.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში მეორე კვარტალში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. გეგმის გადამეტებით წარმოებულია ბევრი და მრავალფეროვანი პროდუქცია, გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი და გარეგნული გაფორმება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად დაზოგილია რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი.

1968 წლის მეორე კვარტალის მუშაობის მიხედვით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებითა და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოებული არიან თბილისის ჩაისსაწონი ფაბრიკის, № 2 თამბაქოს ფაბრიკისა და რიგის კომბინატის კოლექტივები.

ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნის, თბილისის № 8 ღვინის ქარხნის, გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკის, თბილისის ხაკონდიტრო კომბინატის კოლექტივებმა დაიმსახურეს სსრ კავშირის კავების მრეწველობის სამინისტროსა და კავების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. მოიპოვა რუსთავის ხორცკომბინატის კოლექტივმა.

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და კავების, მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვა ბაკურიანის ბალნეოლოგიურ-საკურორტო ადგილსამყოფელის ბალნეოლოგიურ-საკურორტო ინსტიტუტის ლაბორატორიამ.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სუფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ თბილისის მაუდ-კაბმოლის კომბინატ „ხაბჭოთა საქართველოსა“ და ქუთაისის № 4 ხამკერვალო ფაბრიკის კოლექტივები.

გულრიფშის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის კოლექტივმა — მონათესავე საწარმოთა შორის სრულიად საკავშირო შეჯიბრების „გამარჯვებულმა — მოიპოვა სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. (საქდესი).

ХУТИНЛЕДИ — ВАДАМДЕ!

ПРАВДА
5 АВГУСТА

კომუნისტი თავის ორგანიზაციაში

თუ დავალებას სწორად შევარჩევთ...

ხშირად, ძალიან ხშირად ხდება, რომ პარტიული დავალებებით ვეკვრებოთ ხოლმე ერთ და იმავე კომუნისტს, რომელიც ჩვენი აზრით უფრო აქტიური და უფრო უნარიანად შეუძლია შეასრულოს ესა თუ ის საქმე. და რატომდაც გვავიწყდება კომუნისტების ერთი ნაწილი და არ ვაძლევთ მათ რიგიერიოზულ დავალებას. ეს მარტო ჩვენთან კი არა, სხვა ორგანიზაციებშიც ხდება. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დავალებებით გადაბერვერთულებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ თავიანთი ძირითადი საქმეების შესასრულებლად, მაშინ როცა ზოგნი სულ არ მონაწილეობენ ყოველდღიურ პარტიულ მუშაობაში და თანდათან სცილდებიან ორგანიზაციულ საქმიანობას.

საგულისხმოა ერთი ასეთი ფაქტი: გასულ წელს ჩვენს კოლექტივში საქონლის მოლარის თანამდებობაზე სამუშაოდ მოვიდა კომუნისტი ა. ლორია. მას მუშაობა უხდებოდა როგორც ხატვრთრო ხადგურში, ისე მეორე ნავთლულუნიც. ამ ხნის მანძილზე არც ერთ საამქრო პარტორგანიზაციის ბიუროს, სადაც მას უხდებოდა ყოფნა და არც ჩვენ კომუნისტ ლორიას მომზადების დონე არ შეგვიმოწმებია, არ მიგვიცია მისთვის საათანადო პარტიული დავალება. ამ ცოტა ხნის წინათ კი იგი თვითონ მოვიდა პარტბიუროში და განაცხადა, რომ მას აქვს პარტიული მუშაობის საკმაო გამოცდილება, დამთავრებული აქვს უმაღლესი პარტიული სკოლა. წლების მანძილზე არჩეული იყო პარტორგანიზაციის მდივნად, ამასთან გაკვირვებას გამოთქვამდა, ნუთუ არ შეიძლებოდა მისთვის მიეცათ მუდმივი დავალება. ჩვენ რეკომენდაცია მივეცით და მას ხატვირთო ხადგურის ხადგურში მეცხრედ მუშაობს კომუნისტი გ. კუსრაევი. იგი თავის თანამდებობრივ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, შრომობს უწყნოდ და უთავრიოდ. აქვს ხანმოშო ოჯახი. ოთხი ბავშვიდან ორი სკოლის ასაკისაა და წარჩინებით სწავლობს. მეუღლე მასახურობს. ამნაგებმა „ეუსრაევი ცვლის პროფორგად

ახალგაზრდა კომუნისტთა შეკრება

საბარმაჯო. (საკ. კორ.). ამას წინათ პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში 300-მდე ახალგაზრდა კომუნისტმა და პარტიის წევრობის კანდიდატმა მოიყარა თავი.

პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ო. სამაშვილი ახალგაზრდა კომუნისტებს ესაუბრა რაიონის მშრომელთა წინაშე მდგომ ამოცანებზე.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე რაიონის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

შეკრების მონაწილეებს თავიანთი მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს ახალგაზრდა კომუნისტებმა ი. კუჭუაშვილმა, თ. ქევხიშვილმა და სხვებმა.

კარტიული ქრონიკა

სწავლოგენ მდივნები, პარტკომფორგები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების 85 მდივანი ახლად არის არჩეული. ახლად არჩეულია აგრეთვე ორასამდე პარტკომფორგი და ადმინისტრაციის საგეურნეო საქმიანობისადმი "პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ახლად არჩეული სწავლოგენ მდივნებისა, მკლავმარჯვენა ხელად სწავლოგენ მოწყობა სამდღიანი თათბირ-სემინარი.

სემინარის მონაწილეებს ესაუბრნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები, განყოფილებათა გამგეები, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, ქალაქის ორგანიზაციების სწავლოგენ მდივნებმა, ასევე სწავლოგენ პარტიული კომიტეტების მდივნები, „ბუთაისის" რედაქციის პასუხისმგებელი მუშაკები.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ბოკოლიემ.

ორჯონიკიძე. პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკა

მდიდარი ბიბლიოთეკა

(ბიბლიოთეკის გამგე მ. მკედლიძე) ერთ-ერთი საუკეთესოა რაიონში. ყოველგვარი პირობებია შექმნილი პოლიტიკური განათლების მისალებად. აქ ხშირად ნახავთ პროპაგანდისტებს, ლექტორებსა და მომხსენებლებს.

ბიბლიოთეკას აქვს მდიდარი წიგნთსაცავი, სადაც უხვად არის პოლიტიკური, მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე, ანბანური და სისტემატური კატალოგი, შედგენილია თემატური კარტოთეკები აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა პოლიტიკური სწავლების ცალკეული რგოლების მიხედვით.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

ფაბრიკის გასაჭირი

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტი

ასეთი სათაური ჰქონდა კრიტიკულ წერილს, რომელიც ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 21 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა. იგი ქუთაისის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის ჩამორჩენის მიზეზებს ამხილებდა.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ბოჰოლიძემ რედაქციას აცნობა:

ქუთაისის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ თანამდებობიდან გაათავისუფლა ფაბრიკის დირექტორი მ. ჭაქუჩაია და მთავარი ინჟინერი ა. სეფიაშვილი.

სოფლის მეურნეობის 6.500 მოწინავე

სსრ კავშირის 1968 წლის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილენი

სოფლის მეურნეობის განვითარებაში ხაიუბლეო წელს მიღწეული წარმატებებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა 1968 წლის გამოფენეს მონაწილედ დაამტკიცა ამბარის ახს რესპუბლიკაც იმის გამო, რომ სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმა შეასრულა — 107,8 პროცენტით, უხეში ჩაისა — 104,1 პროცენტით, კოფეინის ნედლეულისა — 110 პროცენტით, ციტრუსებისა — 142,6 პროცენტით და სხვ.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილის უფლება დაიმსახურეს ქოგულეთის, გათუმის, მაბარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ყულაშეთის, წალენჯიხის, გალის, ბურჯანის, ახმეტის, ლაგოდეხის, მარნეულის, გორის, ახალციხის, წითელწყაროს, სიღნაღის, ყვარლის, ზუგდიდის, ხობის, მცხეთის რაიონებმა და ქალაქ ტყიბულის სოფლებმა.

გამოფენის არსებობის პერიოდში პირველად გახდნენ მისი მონაწილენი გაბრის, ბეშდათუთის, ოჩამჩირის, ვანის, წალკის, დუშეთის, ბოგდანოვკის, ასპინძის, ქასპის, ცხინვალის, ფულუკიძის, ხაშურისა და ადიგენის რაიონები.

სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ორი უდიდესი გაერთიანება — რსფსრ და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და მეფეხსახლობისა და მესხეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი ფართოდ აჩვენებენ თავიანთ მიღწევებს გამოფენის სხვადასხვა პავილიონებში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე გახდა რესპუბლიკის 152 მოწინავე კოლმეურნეობა. მათ შორისაა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველო", ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის, ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის, გურჯაანის რაიონის სოფელ პაზისუბნის კოლმეურნეობანი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობა „შეგობრობა", ნოიემბერიანის რაიონის სოფელ ქვემო ქედის. გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა და სხვ.

გამოფენის მონაწილეთა შორის 26 საუკეთესო საბჭოთა მეურნეობაა. ეხენი არიან: ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც ეს საპატიო უფლება მოიპოვა თესლოვანი ბალის ჩინებული მოსავლის მიღებისათვის — 1966-1967 წლებში საშუალოდ — 50,4 ცენტნერი ჰექტარზე, მოლიანი მოსავალი — 30.083 ცენტნერი; ანაკლიის მეთევზეობის საბჭოთა მეურნეობა — 9 წელიწადში საშუალოდ ჰექტარზე — 60,6 ცენტნერი, მოლიანი მოსავალი — 19.962 ცენტნერი; სადახლოს მეთაფაძოლეობის საბჭოთა მეურნეობა — საშუალოდ ჰექტარზე 22,4 ცენტნერი „ტრაპეზონის" ჯიშის თამბაქო, მოლიანი მოსავალი 7.860 ცენტნერი; გამოფენის მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ოჩამჩირისა და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა, მაჩინჯაურისა და ბაბრის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობებმა, ლაითურისა და აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებმა და სხვებმა.

შესაბამისი პირობებისა და მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით გამოფენის მონაწილეებად დამტკიცებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 6.500 მოწინავე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილედ დამტკიცებულია აგრეთვე გაზეთი „სოფლის ცხოვრება".

თ. ფერეთელი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის მთავარი მეთოდისტი, დამსახურებული აგრონომი.

(სიმღერა)

ნაგომრელ მეჩაიეებთან

215.000 ტონა

● აგვისტო ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა ● გაკრიფოთ ყოველგვარ ამინდში ● რაოდენობაც, ხარისხიც!

მაის ამოსვლას დასაწრო ადგომანი წინა წიტაიშვილმა. როგორც კარგმა დიასახლისმა, პირველად ოჯახში მიიხედ-მოიხედა, საუზე გაამზადა და ჩაის პლანტაციისაკენ გიეშურა.

წელს მარშანდელ მაჩვენებელს უნდა გაუსწოროს. 0,5 ჰექტარზე უნდა მოკრიფოს 8 ათასი კილოგრამი ხარისხიანი ფოთოლი ნაცვლად მარშან მოკრეფილი 7 ათასი კილოგრამისა. მიუხედავად იმისა, რომ ეამინდობის გამო წელს ფოთლის ვეგეტაცია ცოტია, ნ. წიტაიშვილს უკვე აქვს წარმატება. ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით გაანაღდა, მოკრიფა 5.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 5.000 კილოგრამისა. აგვისტოში ფოთოლს კრეფს გაღლებულების ანგარიშში.

და ასე მუშაობენ მეჩაიეები. მედიკო და ლუბა ნაჩყებიები, სონია ცხომელიძე, მედიკო ტკვლიანი, ლეილა მაღულარია, ე. თავართქილაძე და სხვები. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დ. გოგუაძეს, პარტბიუროს მდივანს რ. ციცეკაძეს და მთავარ აგრონომს ა. ნაჩყებიას დღისით კანტორაში იზვიათად ხახვთ. ისინი ბინდიდან პირდაპირ პლანტაციებში ფოთლის მკრეფავებთან მიდიან. ეს ბუნებრივიც არის, წელს ნაგომრელმა კოლმეურნეებმა მახარაძის რაიონის მოწინავე მეჩაიეთა შეკრებაზე იკისრეს კრიფონ მხოლოდ ხარისხოვანი ფოთოლი, შემცირონ მიღებული ნედლეულის თვითღირებულება და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩააბარონ 1.400 ტონა „მწვანე ოქრო", ე. ი. გეგმას გადამეტებით 105 ტონა.

ამ დღეებში კოლმეურნეობის ბუხგალტერმა ი. წიტაიშვილმა შეაჯამა სეზონის დაწყებიდან მოკრეფილი ფოთლის რაოდენობა.

მოკრეფილია 840 ტონა ნაცვლად პირველ აგვისტომდე გეგმით გათვალისწინებული 640 ტონისა, ჩაის ნედლეულის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა მარშანდელი 55 პროცენტის ნაცვლად.

კოლმეურნეობიდან ასეთი სასახარული ცოფრი აცნობეს პარტიის რაიონულ კომიტეტს, რაისაბჭოს აღმასკომსა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს.

თავისი ნაამაგარით ხარობენ მეჩაიეები. ივლისში კოლმეურნეობის წევრებს ხელფასის სახით მიეცათ 100 ათასი მანეთი.

ქვეყნის მაჯისცემის საფეხური

1970 წელს მეხუთედ ჩატარდება სსრ კავშირის მოსახლეობის საკავშირო აღწერა

მეორე საბჭოთა აღწერა ჩატარდა 1926 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით.

მესამე საბჭოთა აღწერამ (თუ არ ჩავთვლით 1937 წლის 6 იანვრის მდგომარეობით ჩატარებულ აღწერას, რომლის შედეგები დეფექტურობის გამო გაუქმებულ იქნა საბჭოთა მთავრობის მიერ), რომელიც 1939 წლის 17 იანვრის მდგომარეობით ჩატარდა, თვალნათლივ გვაჩვენა სოციალისტური მშენებლობის ასალი წარმატებანი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

სოციალისტური წყობილების მძლავრი ძალების მეოხებით, საბჭოთა ხალხის [illegible]ადებული და გმირული ბრძოლის შედეგად, ომისშემდგომი ხუთწლედების მანძილზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ასალი მძლავრი აღმავლობა და ამასთან მოსახლეობის რიცხობრივი და თვისებრივი ზრდის დადასტურება იყო მოსახლეობის მეოთხე საკავშირო აღწერა 1959 წლის 15 იანვრის მდგომარეობით. ამ აღწერის მონაცემები საფუძვლად დაედო ბიდეწლიანი და ასლანდელი ხუთწლიანი გეგმის შედგენას.

მოსახლეობის 1970 წლის საკავშირო აღწერის პროგრამა და მისი ჩატარების სარგებლიანობა გეგმა მომდინარე წლის აპრილში განიხილა და დაამტკიცა სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირმა. მას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი და შემოწმებითი ხასიათის ღონისძიებანი, რომელთა შორის აღსანიშნავია შარშან მარტში ჩატარებული მოსახლეობის საცდელი აღწერა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეკონომიური, ეთნიკური პირობებითა და თავისებურებებით განსხვავებულ 9 რაიონში.

მომავალი აღწერის ფორმულიარი (ორი საადწერო ფურცელი) შეიცავს 18 კითხვას, რომელთაგან პირველი თერთმეტი შეეხება [illegible] ... ბოლო იქ მცხოვრები მოსახლეობა აღურიცხავია, მოუწესრიგებელია ქუჩების სახელწოდებანი, კვარტალების, სახლმფლობელობათა და ბინების ნუმერაცია. აღწერის მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარების დროს დიდი ნაწილი გასულია, ქალაქის საბჭოს აღმასკომმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გადამჭრელი და სასწრაფო ღონისძიებები უნდა გაატარონ აღწერისათვის მზადებაში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

ყველა თბილისელს სურს და აინტერესებს გვქონდეს სრული და ზუსტი ცნობები თბილისელთა რიცხობრივ შემადგენლობასა და თვისებრივ მდგომარეობაზე. უამისოდ შეუძლებელია ჩვენი ქალაქის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის განხორციელება და წარმოუდგენელია მისი მომავლის პერსპექტივა. ამიტომ თბილისელთა პატრიოტულ მოწოდებას და ძვირფას დეკრეზს — „ეგიყვარდეს ჩვენი ქალაქი", „გადავაქციოთ თბილისი სანიაშეო წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად", აღწერის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში, ჩვენი აზრით, გვერდი უნდა ამოუყენოთ მნიშვნელოვანი დეკრეზიც „სანიაშეოდ მოვამზადოთ და ჩავატაროთ ჩვენი ქალაქის მოსახლეობის საკავშირო აღწერა".

ამ საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

მოსამზადებელი სამუშაოების წარმატებით ჩატარებაში აქტიური როლი უნდა შეასრულონ აღწერის ხელმძღვანელობამ კომისიებმა, ისინი თავიანთ მუშაობას უნდა წარმართავდნენ სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ შემუშავებული კალენდარული გეგმის საფუძველზე ადგილობრივი კონკრეტული პირობებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით შედგენილი სამუშაო გეგმით. ამასთან საჭიროა ცალკეული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტისათვის აღმასკომებმა გაითვალისწინონ მათთვის სანანადო უფლების მინიჭებაც.

არსებული ცნობებით მომდინარე წლის 15 ივნისისათვის რესპუბლიკაში 14 ქალაქსა და 29 დაბას საერთოდ არ გააჩნია სქემატური გეგმები, 15 რაიონს — სქემატური რუკები.

კარტოგრაფიული მასალების დროულად და ხარისხოვნად შედგენაზე პასუხისმგებლობა მთავრობის დადგენილებით დაკისრებული აქვთ აღმასკომებს და ეს საქმე მათ უნდა უზრუნველყონ საკუთარი ძალებით. ხოლო იქ, სადაც ადგილზე სქემატური გეგმების შედგენა შეუძლებელი ხდება, რაიაღმასკომებმა დამმარებისათვის უნდა მიმართონ საქართველოს სსრ სახმწყობა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს.

აღწერის მომზადების სამუშაოთა დამთავრების ვადები მოახლოებულია. იმ ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომებმა, რომელსაც ამ საქმეში ჩამორჩენა აქვთ, დროულად უნდა გაატარონ ღონისძიებანი, რომელიც უზრუნველყოფენ იმ სამუშაოთა დაწესებულ ვადაში შესრულებას, რაც მათ მთავრობის დადგენილებით ეკისრებათ.

ა. ბურდილაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე, მოსახლეობის 1970 წლის აღწერის განყოფილების უფროსი.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, ოთხშაბათი, 7 აგვისტო, 1968 წ.

ამბები სასკოლო ხარაჩოებიდან

ყურადღების ცენტრში

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის მეტ ნილ სკოლებში კარგად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის. უკვე შესრულებულია 50 ათასამდე მანეთის სამუშაო. დიდად ეხმარებიან სკოლებს შშობელთა კომიტეტები და შეფი ორგანიზაციები — ისინი აწყობენ შაბათობებს, უფასო შრომითს მონაწილეობას იღებენ შენობების შეკეთებასა და სკოლის ეზოების კეთილმოწყობაში. ამ მხრივ ალსანიშნავია ხალინების �მბინატის, ხე-ტყის სავაჭრო ბაზის, ცეკავშირის სამშენებლო სამმართველოს, საქსოფლელექტრომშენის № 8 სამმართველოს, საქსოფლენერგოს, ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობის და სხვა საწარმო - დაწესებულებათა კოლექტივების ზრუნვა სკოლებზე.

რემონტი უკვე დამთავრდა ცხაკაიას მეხუთე, ნაჭალაქევის, მუშაახალგაზრდობის საღამოს საშუალო, ცხაკაიას პირველ, ნაჭალაქევის და ზემო ჭალადიდის რვაწლიან სკოლებში.

უველა ღონისძიებაა მიღებული, რომ პირველი სექტემბრისათვის უველა სასკოლო ასაკის ბავშვი მიუჯდეს მერხს, და მათ სკოლები ყოველმხრივ კეთილმოწყობილი დახვდეთ.

ემზადებიან

თბილისი. (საკ. კორ.). დიდი თარჯოლის საშუალო სკოლა, ახალი სასწავლო წლიდან 35 კლასში ცხრაასზე მეტი მოსწავლე იმეცადინებს, მათ შორის ასამდე პირველკლასელი.

სკოლას არ ეყოფინდა საკლასო ოთახები, ბინები ლაბორატორია - კაბინეტებისათვის. ამიტომ აქ ჯერ კიდევ გასული წელს დაიწყო თორმეტი საკლასო ოთახის მშენებლობა, ეს სამუშაო უკვე დამთავრდა, რაც თარჯოლელი მოსწავლეებისათვის საკმაოო საჩუქარია. სკოლის კოლექტივი და სოფლის მშრომელები მადლობით იხსენიებენ ჭიათურის მარგანეცის № 8 ტრესტის ზესტაფონმშენის სამშენებლო სამმართველოს კოლექტივს, რომელიც ენერგიულად შრომობდა საკლასო ოთახების მშენებლობაზე.

ამჟამ სწრაფად მიმდინარეობს ძველი საკლასო ოთახების კაპიტალური შეკეთება. ეს სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია. რითაც თარჯოლელ მოსწავლეებს ექმნებათ ერთ ცვლად მეცადინეობის პირობები. ანალადმაშენებული საკლასო ოთახებისათვის შეძენილია 8.300 მანეთის ახალი ინვენტარი.

რემონტი დასასრულს უახლოვდება

ლენინგორი. (საკ. კორ.). სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დაწყებული, 8-წლიანი და საშუალო სკოლების რემონტი ლენინგორის რაიონში. 82 სკოლიდან, რომლებსაც რემონტი ესაჭიროებოდა, უკვე მზად არის 60 სკოლა. განსაკუთრებით ხარისხიანად გაეკეთდა რემონტი ძაყორის, ორკოლის, ლარგვისისა და სხვა სოფლების დაწყებითს, მ-წლიან და საშუალო სკოლებს.

სოფელ წინაგარში მიმდინარეობს სასკოლო შენობის გაფართოება. აქ სკოლას მიეშენდება 15 საკლასო ოთახი. შენებლობაზე უფროსებთან ერთად მუშაობენ მოსწავლეები, რომლებსაც პედაგოგი ნიკოლოზ ხუციეი ხელმძღვანეულობს. სამუშაო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ვადამდე დამთავრდება.

ლენინგორელები ბორბას აძლევენ სასკოლო შენობების რემონტი უველა სოფელში ვადაზე დამთავრონ.

ვიდრე სექტემბრის ზარი დაირეკებოდეს

საკავშირო ცხოვრება

სელსაყრელი თანამშრომლობა

რავალპინდი, 5 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „პაკისტან ტაიმსი“ დღეს ბეჭდავს სარედაქციო სტატიებს, მიძღვნილს პაკისტან-საბჭოთა კავშირის საგარეო ურთიერთობისადმი. ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში, აღნიშნულია სტატიაში, პაკისტანის ეკონომიკა ეკონომიკა საბჭოთა კავშირთან გაჯარდა სამასი პროცენტით, ხოლო პაკისტანის ვაჭრობის მინისტრის ამასწინანდელი ვიზიტი მოსკოვში ხელს შეუწყობს მის შემდგომ გაფართოებას. საბჭოთა კავშირი, წერს გაზეთი, პაკისტანს ტრადიციული საექსპორტო საქონლის ნაცვლად პაკისტანში შემოიტანს მძიმე სამანქანო მოწყობილობის ტრაქტორებს, ბულდოზერებსა და ავტომანქანებს.

დიდი ინტერესი

ლონდონი, 6 აგვისტო. (საკდესი). დღეს, აქ ეროსკორტის დარბაზში გაიხსნა მეორე საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა, რომელსაც უკვე გაეცნენ პრესის წარმომადგენლები. ინგლისს პრესა დიდ ინტერესს იჩენს ამ გამოფენისადმი.

„ტაიმსი“ ბეჭდავს საკუთარი კორესპონდენტის ვრცელ ანგარიშს, რომელშიც დაწვრილებით ჩამოთვლილია ყოველივე ის, რასაც ერლს-კორტში ნახავენ დამთვალიერებლები, და აღნიშნავს, რომ გამოფენა ჩაიკლის დევიზით „ვაჭრობის საშუალებით მშვიდობისა და ურთიერთგაგებისაკენ“.

ინგლისის საქმიანი წრეების ორგანომ „ფინენშლ ტაიმსმა“ გამოუშვა 16-გვერდიანი სპეციალური დამატება საერთო სათაურით „საბჭოთა ინდუსტრია“. დამატებაში დაბეჭდილია სტატიები საბჭოთა საგარეო ვაჭრობისა და საავაჭრო ორგანიზაციების, ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკებისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის შესახებ.

კონგოს დროებითი მთავრობა

ბრაზავილი, 5 აგვისტო. (საკდესი). წუხელ ბრაზავილის კონგოს პრეზიდენტმა ალფონს მასამბა-დებამ შექმნა ახალი დროებითი მთავრობა, რომელშიც შეცვალა კვირას გადამდგარი ძველი მთავრობა.

დროებით მთავრობაში თავდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა ლეიტენანტმა პუანინემ, რომელიც წინა მთავრობის შემადგენლობაში შედიოდა. დაგეგმვის საკითხთა სახელმწიფო მინისტრად დანიშნულია პასკალ ლისუბა. თავიანთი პოსტები შეინარჩუნეს აგრეთვე ფინანსთა, საგარეო საქმეთა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებმა.

პრეზიდენტმა მასამბა-დებამ გამოაცხადა აგრეთვე, რომ შეიქმნა რევოლუციის ეროვნული საბჭო 80 კაცისაგან, რომლის შემადგენლობა ჯერ კიდევ ცნობილი არ არის. რევოლუციის ეროვნულ საბჭოს, გარდა პოლიტიკური ამოცანების შესრულებისა, დაეკისრება სამოქალაქო თავდაცვის კორპუსთან კავშირთანეული არმიის ხელმძღვანელობის ფუნქცია.

მოლაპარაკება ალის-აბეგაში

ალის-აბეგა, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს ნაშუადღეს აქ დაიწყო ნიგერიის ფედერალური მთავრობის დელეგაციისა და აღმოსავლეთ ნიგერიის რეგიონის წარმომადგენელთა მოლაპარაკება. ფედერალური მთავრობის დელეგაციას მოლაპარაკებაზე მეთაურობს ენტონი ენახორო, აღმოსავლეთ ნიგერიის რეგიონის დელეგაციას — ოდუმეგეუ ოჯუკუორი მხარის შეხვედრას, რომელიც დახურულ დარბაზში მიმდინარეობს, ესწრებიან ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე და აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი �აფუა.

ორი მხარის მოლაპარაკების მიზანია მოაწესრიგონ პოლიტიკური კრიზისი და შეწყვიტონ სამოქალაქო ომი, რომელიც დაიწყო ერთ წელზე მეტი ხნის წინათ.

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

მსოფლიო პრესა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბრატისლავის თათბირის შესახებ

სოფია, 6 აგვისტო. (საკდესი). ბულგარელი ხალხი, წერს „ოტეჩესტვენ ფრონტი“, მეტი-ცედ უპერს მხარს ექცევა კომუნისტური პარტიის ბრატისლავის განცხადებას იმიტომ, რომ იგი სახავს იმ გზებსა და საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერებას, მშვიდობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ჩვენი ხალხი ყოველნაირად, მთელი ძალებით შეუწყობს ხელს ბრატისლავის თათბირის დასკვნების განხორციელებას.

გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“ წერს: თათბირის შედეგებმა დიდად გაუცრუეს იმედი იმათ, ვინც ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ განხეთქილება შეეტანა ცალკეულ სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის, დაეთესა მათში უთანხმოება და მტრობა. განცხადებაში, წერს გაზეთი, არაორაზროვნად გამოთქმულია გადაწყვეტილება დაუკირონ მხარი ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას, ყველაფერი იღონონ ისრაელის აგრესიის ლიკვიდაციისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე, საკადრისი პასუხი გასცენ დასავლეთ გერმანიის რევანშიზმისა და მილიტარიზმის ძალებს, განამტკიცონ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორი— ვარშავის ხელშეკრულება, განავითარონ და გააფართოონ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობა.

ბერლინი, 6 აგვისტო. (საკდესი). „მომძე პარტიები განამტკიცებენ სოციალიზმის პოზიციებს“, — წერს „ნოიეს-დოიჩლანდი“, რომელიც განმარტავს ბრატისლავის თათბირის შედეგებს.

გაზეთს მოჰყავს სრული ტექსტი „პრავდის“ მოწონავე სტატიისა „ძალა ერთობაშია“, რომელიც ტასის ჩიერნისა და ბრატისლავის შეხვედრების შედეგებს ეძღვნება.

გაზეთები „ბერლინერ ცაიტუნგი“, „ნოიე ცაიტი“, „ფრიბუნი“ აღნიშნავენ, რომ მომძე პარტიების ბრატისლავის თათბირი მოწმობს კომუნისტური და მუშათა პარტიების პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებას.

ბარშავა, 6 აგვისტო (საკდესი). უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტს უწოდებს გაზეთი „ტრიბუნა მაზოვეცკა“ ბრატისლავის შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ განცხადებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი კმაყოფილებით აღიქვეს სოციალისტურ ქვეყნებში, იგი ცნეს და მას მხარი დაუჭირეს პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ, მუშათა კლასმა, პოლონეთის მთელმა საზოგადოებრიობამ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს განცხადება არის ახალი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სოფიის მსოფლიო ფესტივალზე გავრცელდა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის მიმართვა. კავშირი ყველა ქვეყნის ახალგაზრდობას მოუწოდებს 17 ნოემბრიდან (სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სოლიდარობის დღე) 80 ნოემბრამდე მოაწყოს ვიეტნამთან სოლიდარობის მასობრივი აქციები. მიმართვაში აღნიშნულია, რომ ეს უნდა იყოს

დევიზია ძმობა, მეგობრობა

საბჭოთა საფესტივალო ცენტრის ყველაზე ხშირი სტუმრები არიან ბულგარელი ქალაშვილები და ბიჭები, რომლებსაც გასაკვირვებთ დაუმეგობრდნენ ჩვენი ახალგაზრდები ამ დღეებში. აქ დღესაც მოვიდნენ სოფიის კომკავშირული ორგანიზაციის აქტივისტები, მოვიდნენ მეგობრულ საუბარზე თავიანთ მოსკოველ მეგობრებთან.

შეხვედრის მონაწილეთა შორის არიან სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის პიონერთა მდივანი ე. ტიაჟელნიკოვი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ა. ლეონოვი, კომკავშირის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ტრუშინი, ახალგაზრდათა დიმიტროვული კომუნისტური კავშირის სოფიის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

ახალგაზრდათა დიმიტროვული კომუნისტური კავშირის სოფიის კომიტეტის პირველმა მდივანმა ოლგამ ბოიკოვამ გულითადად მიულოცა საბჭოთა კომკავშირელებს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის მოახლოებული 50 წლისთავი. ჩვენი მხრივ, თქვა მან, ვეშაფიდებით ამ დიდი დღესასწაულისათვის.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ე. ტიაჟელნიკოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა ფესტივალის მასპინძლებს. საქალაქო ახალგაზრდობის წარმომადგენლებისათვის გაწეული სტუმართმოყვარეობის გამო. ფესტივალისადგის მზადების პროცესში, და ამ დღეებში, თქვა მან, ჩვენ, შეგობრებო, სასახელოდ იშრომეთ. უამისოდ ასე წარმატებით არ ჩაიელდა ახალგაზრდობის ფორუმი — ნათელი ფურცელი ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობის ისტორიაში.

ბერლინი, 6 აგვისტო. (საკდესი). „ბრატისლავის შეხვედრის უმნიშვნელოვანესი შედეგია ის, რომ მან განამტკიცა სოციალისტური ქვეყნების ერთობა, საერთო, ანტიიმპერიალისტური ფრონტი, წერს დღეს გაზეთი „ნეიეს-დეიჩლანდი“, რომელიც განმარტავს ბრატისლავის თათბირის შედეგებს.

ბრატისლავამ ცხადყო, წერს გაზეთი, რომ საჭიროა ჩვენი საერთაშორისო მოძრაობის საერთო იდეიერ საფუძვლებზე დაურღვნობი წინა პლანზე გამოვიტანოთ არსებითი საკითხები, ისეთი საკითხები, რომელთა გამო— ჩვენი ხალხებისა და პარტიების საერთო ინტერესების შესაბამისად — ჩვენს შორის თანხმობა არსებობს.

კომუნისტური პარტიების დამოუკიდებლობა და პრინციპი, რომ თითოეულს ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი მოქმედებისათვის საკუთარი ქვეყნის ხალხისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე, არავითარ შემთხვევაში არ ილახება, არამედ უფრო ძლიერდება იმით, რომ არსებობს საერთო, თითოეული პარტიისათვის ერთნაირად ქმედითი ამოცანები. მაგალითად, სოციალისტური ქვეყნებისათვის ასეთი საერთო, ინტერნაციონალისტური მოვალეობაა მხარი დაუჭირონ, განამტკიცონ და დაიცვან სოციალისტური მონაპოვრები, რომლებიც მიღწეულია ხალხთა გმირული მეცადინეობითა და თავდადებული შრომით.

ბუდაპეშტი, 6 აგვისტო. (საკდესი). ბრატისლავის შეხვედრის უმნიშვნელოვანესი შედეგია ის, რომ მან განამტკიცა სოციალისტური ქვეყნების ერთობა, საერთო, ანტიიმპერიალისტური ფრონტი, წერს დღეს გაზეთი „წეპსაბადშაბი“.

ბრატისლავამ ცხადყო, წერს გაზეთი, რომ საჭიროა ჩვენი საერთაშორისო მოძრაობის საერთო იდეიერ საფუძვლებზე დაურღვნობი წინა პლანზე გამოვიტანოთ არსებითი საკითხები, ისეთი საკითხები, რომელთა გამო— ჩვენი ხალხებისა და პარტიების საერთო ინტერესების შესაბამისად — ჩვენს შორის თანხმობა არსებობს.

ესპანელი მეზღვაურები იბრძვიან

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. (საკდესი). „ესპანგეგბო ნეტსეი“ გამოცხადდა გიპუსკოას, ბერგენდასა და ალავაში ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. როგორც ფუნციტეგ პრეს ინტერნეშნლის საგანგებო კორესპონდენტი მადრიდიდან იტყობინება, ხელისუფლებამ ეს ღონისძიება განახორციელეს იმასთან დაკავშირებით, რომ ბასკების შორის იფეთქა მღელვარებამ და გასულ კვირაში მოკლეს ქალაქ სან-სებასტიანის საიდუმლო პოლიციის უფროსი. მოდის ცნობები, რომ ბილბაოში ანატმრობენ ბასკებს.

უცხოეთის საინფორმაციო საგენტოები ამბობენ, რომ ფრანკისტული ხელისუფლებანი ეშინიათ ეროვნული უფლებებისათვის. ხელფასიანი მუშაკებმა მოითხოვეს რკინგბის „კონცერნ „რენჭს“ მაორიოს განყოფილების მუშებმა, ბოლო მოეღოს დათხოვნებს და გადიდდეს ხელფასი, — ეს მოითხოვეს „ფასა-რენოს“ კომპანიის მუშებმა სევილიაში.

„ფასა-რენოს“ კომპანიის მუშათა სამართლიან მოთხოვნებს მხარი დაუჭირეს სევილიის მეტალურგიული მრეწველობის მშრომელებმა. განცხადებაში, რომელიც ქალაქის მეტალურგთა სამუშაო კომისიამ გავრცელა, ისინი იცავენ მუშათა დაფიცვის უფლებას და მოითხოვენ მშრომელთა თავისუფალი და დემოკრატიული პროფკავშირის შექმნას.

ტოკიოს მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება

ტოკიო, 5 აგვისტო. (საკდესი). ტოკიოს მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სექტემბრიდან დაიწყოს იმ მასალების შეგროვება, რომელიც ადასტურებენ, რომ ამერიკის სამხედრო ბაზები ხერიოზულ საფრთხეს ქმნიან ქალაქში საცხოვრებლად. შემდგომში ამ მასალებს წარადგენენ იაპონიაში განლაგებული ამერიკის ჯარების სარდლობას, რათა დაასაბუთონ მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ მოაშორონ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები დედაქალაქის რაიონს.

იაპონიის გაზეთები წერენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ბაზა „ჯონსონი“, რომელიც ქალაქის დასავლეთ ნაწილშია განლაგებული, ცენტრალური სატრანსპორტო ბაზა გახდა. ამერიკის შეერთებული შტატებიდან სამხედრო ფრთმფრინავები ჯერ აქ მოდიან, შემდეგ კი მიფრინავენ ვიეტნამში. რეაქტიული ძრავების გუგული თითქმის არ წყდება დღე-ღამის მანძილზე და ირღვევა ტოკიოს გარეუბნების მოსახლეობის სიმყუდროვეს.

აეროპორტში თვითმფრინავების ფერენინა და დაჯდომის დროს წყდება მეცადინეობა სკოლებში. მუდმივი მოვლენა გახდა ნერვიული სისტემის მომლილობა და ამასთან დაკავშირებული სხვადასხვა დაავადებანი, განსაკუთრებით ბავშვთა შორის.

გაზეთების ცნობებით, ტოკიოს გარეუბან „ჯისიმაში“ მცხოვრები 300-ზე მეტი ოჯახი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი სახლ-კარი და იაპონიის სხვა რაიონებში გადასახლებულიყო.

ამერიკის სამხედრო სარდლობას წარუდგენენ მასალებს ტოკიოს იმ გარეუბნების მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელთა რაიონებში განლაგებულია ამერიკის ავიაბაზები. ტოკიოს პრეფექტურის ტერიტორიაზე განლაგებულია აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების დიდი ავიაბაზები „ტატიკავა“, „იოკოტა“, „ფუტეტუ“, საიდანაც, ისევე როგორც ავიაბაზა „ჯონსონიდან“ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები ყოველდღე დაფრინავენ ვიეტნამში.

საბჭოთა კავშირის მარშალ კ. კ. როკოსოვსკის დაკრძალვა

8 აგვისტოს მოსკოვი გამოეთხოვა საბჭოთა სამშობლოს ერთგულ შვილს, გამოჩენილ სამხედრო მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს, საბჭოთა კავშირის მარშალ კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე როკოსოვსკის.

...საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალური სახლის ფოიერდროშოვანი დარბაზი. მაღალ კვარცხლბეკზე გვირგვინებს შორის ასვენია ურნა კ. კ. როკოსოვსკის ნეშტით. ძალით შემოსილი პორტრეტის წინ ალისფერ ატლასის ბალიშებზე მთავრობის უამრავი ჯილდოა.

ფოიერს სამგლოვიარო მელოდიები. ურნასთან განუწყვეტლივ მოედინება ხალხის ნაკადი. ყოველ სამ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. დარბაზში შემოაქვთ სულ ახალი და ახალი გვირგვინები, რომლებიც გამოგზავნეს სამრეწველოებმა და უწყებებმა, სამხედრო ოლქებმა, უმაღლესმა სამხედრო სასწავლებლებმა, ომის ვეტერანებმა, მებრძოლმა, მეგობრებმა და თანამებრძოლებმა.

მარშალ კ. კ. როკოსოვსკის დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის საქმიანიტროს ფელეგაცია მინისტრის დივიზიის გენერალ ვ. იარუზელსკის მეთაურობით და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-საზოგადოებრივი დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის კომიტეტის მდივნის ა. კარკოშკის მეთაურობით. დელეგაციებმა გვირგვინებით შეიმკეს კვარცხლბეკი. გვირგვინების ლენტებზე წარწერილია: „სახელოვან მხედართმთავარს, კომუნისტ ჯარისკაცს, საბჭოთა კავშირის მარშალსა და პოლონეთის მარშალს პოლონეთის სახალხო არმიის მეომრებისაგან“; „სახელგანთქმულ მხედართმთავარს, პატრიოტს, ინტერნაციონალისტს. მშრომელი ვარშავის შვილს მარშალ კ. როკოსოვსკის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობისაგან“.

18 საათი და 30 წუთია. შეწყდა ინსტრუმენტალური მუსიკა. ... ხალხმრავალ დარბაზში. ... ხალხის, ... ბოლოებში, მეგობრები, ამხანაგები და თანამებრძოლები. გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია.

სამგლოვიარო მელოდიის ხმებში დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრებს გამოაქვთ ურნა და დგამენ კატაფალკზე. სამგლოვიარო პროცესია წითელი მოედნისაკენ მიემართება.

კავშირების სახლთან სამგლოვიარო პროცესიას შეხვდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. ურნა განსვენებულის ნეშტით კატაფალკიდან გადაიტანეს ქვემეხის ლაფეტზე.

...წითელი მოედანი. აქ შეიკრიბნენ მოსკოველ მშრომელთა მრავალი წარმომადგენელნი, არმიის და ფლოტის მეომრები. მწყობრ მწკრივად, დახრილი ხაბრძოლო დროშებით დგანან ჯარის ქვეგანაყოფები.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის წინ ურნას კ. კ. როკოსოვსკის ნეშტით კვარცხლბეკზე დაბენენ.

მაუზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, მ. მ. მაშეროვი, დ. თ. უსტინოვი, ა. ვ. კასტანოვი, კ. ფ. კატუშევი, ნ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ს. სოლომენცევი და სხვები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებით სამგლოვიარო მიტინგი გახსნა დაკრძალვის მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ საბჭოთა კავშირის მარშალმა ბ. ნ. პატიკინმ. საბჭოთა ხალხი, არმიისა და ფლოტის მეომრები, თქვა მან, დღეს დიდი მწუხარებით ეთხოვებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, გამოჩენილ სახმხედრო მოღვაწეს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს, საბჭოთა კავშირის მარშალ კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე როკოსოვსკის ნეშტის წინაშე.

შემდეგ მიტინგზე გამოვიდნენ არმიის გენერალი ს. ლ. სოკოლოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ლ. ა. პორისოვი, არმიის გენერალი ა. ა. ლუჩინსკი, საშგლოვიარო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა დივიზიის გენერალმა ვ. იარუზელსკიმ.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. ურნას კ. კ. როკოსოვსკის ნეშტით დაბენენ კრემლის კედლის ნიშში, მეომრიალურ დაფაზე წარწერილია:

კონსტანტინე
კონსტანტინეს-ძე
როკოსოვსკი

21	8
18——96	19——68
XII	VIII

ვიცხოვრეთ საბჭოთა კავშირის პირველ მავზოლეუმის წინ მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს საბჭოთა არმიის მეომრებმა. (საკდესი).

ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ყრილობა

ამერიკის შეერთებული შტატების

წინასაარჩევნო ციებ-ცხელება

ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ყრილობა

მაიამი-ბიჩი, 6 აგვისტო. (საკდესი). დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ყრილობის მუშაობის პირველი დღე. დილიდან ყრილობის დარბაზში ისმოდა მაიამი-ბიჩის მერის, ფლორიდის შტატის გუბერნატორის, სენატორებისა და წარმომადგენელთა პალატის წევრების სიტყვა.

შეიკრიბა ყრილობის ყველა დელეგატი. მათ შორის არის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატების ორი პრეტენდენტი — როკფელერი და რეიგანი, რომლებსაც გარს ეხვევიან თანამშრომლები და საარჩევნო სამსახურის აგენტები. არ ჩანს მხოლოდ მესამე პრეტენდენტი — ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი, რომელიც მოგვიანებით უნდა ჩამოვიდეს.

იმ დროს, როცა ყრილობის დარბაზში მიმდინარეობს საცერემონიო პროცედურა, კანდიდატების საკანაფიო პრეტენდენტთა შტაბ-ბინებში მთავრდება უკანასკნელი გაანგარიშებანი, მორიგებანი, იბირებენ დელეგატებს, რომლებსაც ჯერ არჩეული არ გაუკეთებიათ.

ჯერ ვერავინ ვერ ბედავს რამე პროგნოზების გამოთქმას. აქ მოელიან, რომ ყველაფერი გადაწყდება პრეზიდენტობის კანდიდატის არჩევის დღეს — 7 აგვისტოს.

დრო და დრო ყრილობის დარბაზში შემოიჭრება ბოლმე პოლიციის სირენების ხმა და ვერტმფრინავთა ძრავების გუგული. ვერტმფრინავები განუწყვეტლივ დატრიალებენ ქალაქს. მაიამი-ბიჩში გადაფარულია უშიშროების ლონისძიებათა უზრუნველყოფის ყველა რეკორდს. შეიარაღებულმა პოლიციელებმა დაიკავეს საკვანძო პოზიციები ქალაქის ქუჩებში. ყრილობის დარბაზის სახურავზე დგანან ლურბინლებითა და შაშხანებით შეიარაღებული პოლიციელები. საგულდაგულოდ სინჯავენ სხდომის დარბაზში შემავალ დელეგატთა და კორესპონდენტთა მოწმობებსა და საქალალდეებს.

სხდომაზე ყველა ორატორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მხოლოდ რესპუბლიკელებს შეუძლიათ გამოიყვანონ ამერიკის შეერთებული შტატები ამ კრიზისიდან, რომელშიც აღმოჩნდა დემოკრატთა მთავრობის ბოლოტიკის შედეგად.

ბაკერ ბაკერ ... ...

ჩვენს ყანა-ბაღებში

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ „ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡ ᲪᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲔᲓᲚᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲧᲝᲤᲘᲚᲬᲐᲠᲗ ᲛᲐᲚᲗᲐᲧᲕᲐᲨᲘ?

ᲡᲐᲣᲛᲬᲘᲠᲝ ᲩᲕᲘᲨᲠᲝᲑᲐ, ᲪᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲪᲘᲡ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲯᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠ